



KA020178087334223



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

№ 1-1/40

09 / თებერვალი / 2023 წ.

სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილების მე-4 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული „სიმძლავრის აუქციონის წესები“.

მუხლი 2.


ეს ბრძანება განთავსდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.economy.ge.

მუხლი 3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის აუქციონის გამომცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 18 იანვრის N 1-1/13 ბრძანება.

მუხლი 4.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი



ლევან დავითაშვილი